შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის **30** ივნისი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 7
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 9

განმარტებითი შენიშვნები

1 PwC საქართველო და მისი საქმიანობა 10
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 10
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 11
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 16
5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 17
6 ძირითადი საშუალებები 18
7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 19
8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 19
9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 19
10 საწესდებო კაპიტალი 20
11 სხვა საოპერაციო ხარჯები 20

მმართველობითი ანგარიშგება 21-25

Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ,,ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო"
მერაბ ალექსიძის ქუჩა #12,
თბილისი, საქართველო

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ,,ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო"-ს (შემდგომში „კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულებულია მოცემული თარიღით და შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (მსს ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა *(გაგრძელება)*

მენეჯმენტის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა *(გაგრძელება)*

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე *(გაგრძელება)*

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ხელმომწერის სარეგისტრაციო ნომერი აუდიტორთა რეესტრში SARAS-A-865011
ფირმის სარეგისტრაციო ნომერი აუდიტორთა რეესტრში SARAS-F-320544

თარიღი: მარტი 30, 2021
თბილისი, საქართველო

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	30 ივნისი 2020	30 ივნისი 2019	1 ივლისი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	313	433	451
არამატერიალური აქტივები		2	3	4
სულ გრძელვადიანი აქტივები		**315**	**436**	**455**
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,538	1,870	1,617
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	2,427	1,448	1,019
სულ მოკლევადიანი აქტივები		**3,965**	**3,318**	**2,636**
სულ აქტივები		**4,280**	**3,754**	**3,091**
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		3,280	2,837	1,883
სულ კაპიტალი		**3,380**	**2,937**	**1,983**
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	900	817	1,108
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**900**	**817**	**1,108**
სულ ვალდებულებები		**900**	**817**	**1,108**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**4,280**	**3,754**	**3,091**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2021 წლის 30 მარტს.

ლაშა ჯანელიძე
გენერალური დირექტორი

თამარ გრიგორიევი
ფინანსური დირექტორი

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2020*	2019*
ამონაგები პროფესიული მომსახურებიდან		**6,122**	**6,786**
სახელფასო ხარჯები		(3,448)	(3,493)
პროფესიული მომსახურების ხარჯები		(1,116)	(1,076)
ცვეთა და ამორტიზაცია		(140)	(131)
სხვა საოპერაციო ხარჯები	11	(945)	(1,091)
საოპერაციო მოგება		**473**	**995**
კურსთა შორის სხვაობა		(27)	(32)
მოგება დაბეგვრამდე		**446**	**963**
მოგების გადასახადი		(3)	(9)
ფინანსური წლის მოგება		**443**	**954**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
ფინანსური წლის სრული შემოსავალი		**443**	**954**

(*) 2020 ფინანსური წელი: 2019 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
2019 ფინანსური წელი: 2018 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 ივლისს	**100**	**1,883**	**1,983**
ფინანსური წლის მოგება	-	954	954
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
ფინანსური წლის სრული შემოსავალი	-	954	954
ნაშთი 2019 წლის 30 ივნისს	**100**	**2,837**	**2,937**
ფინანსური წლის მოგება	-	443	443
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
ფინანსური წლის სრული შემოსავალი	-	443	443
ნაშთი 2020 წლის 30 ივნისს	**100**	**3,280**	**3,380**

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2020*	2019*
მოგება დაბეგვრამდე		**446**	**963**
შესწორებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		140	131
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება		63	7
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების სხვაობები		27	32
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**676**	**1,133**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნის შემცირება/(გაზრდა)		269	(261)
სავაჭრო და სხვა ვალდებულების გაზრდა /(შემცირება)		83	(292)
მოგების გადასახადი		(3)	(9)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**349**	**(562)**
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		**1,025**	**571**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	6	(20)	(113)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		**(20)**	**(113)**
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(26)	(29)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინასური წლის დასაწყისში	8	**1,448**	**1,019**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური წლის ბოლოს	8	**2,427**	**1,448**

(*) 2020 ფინანსური წელი: 2019 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
2019 ფინანსური წელი: 2018 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

1 PwC საქართველო და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოსთვის (შემდგომში „კომპანია“ ან „PwC საქართველო“) 2020 წლის 30 ივნისს დასრულებული წლისთვის.

PwC წარმოადგენს საერთაშორისო აუდიტორულ და საკონსულტაციო მომსახურების სფეროში მოღვაწე პროფესიული ფირმების ერთ-ერთ წამყვან ქსელს მსოფლიოში. საქართველოში PwC კლიენტებს ემსახურება 1996 წლიდან, ხოლო წარმომადგენლობითი ოფისი, „ფრაისუოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი ვი საქართველოს ფილიალი“ (შემდგომში „ფილიალი“) თბილისში გაიხსნა 2005 წლის სექტემბერში.

2017 წლის სექტემბერში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოხდა ახალი იურიდიული პირის, შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“-ს დაარსება, რომელმაც ახალი იურიდიული ფორმით გააგრძელა PwC-ის საქმიანობა საქართველოში.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ფრაისუოთერჰაუსკუპერს ოდითინგი“ (უნგრეთი), რომელიც კომპანიის უშუალო მშობელ კომპანიას წარმოადგენს.

PwC საქართველო წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, იურიდიულ პირად დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი: 405220611.

კომპანიის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობა მოიცავს აუდიტს და სხვა მარწმუნებელ სერვისებს, საგადასახადო, საკონსულტაციო, იურიდიულ და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მ. ალექსიძის ქ.12, ბიზნეს ცენტრი „King David“.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ამერიკულ დოლარში.

ფინანსური წელი. კომპანიის ფინანსური წელი, და, შესაბამისად, ანგარიშგების პერიოდი არის 1 ივლისიდან 30 ივნისამდე.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ინფორმაცია ახალი ვირუსის, სახელწოდებით COVID-19 („კორონავირუსი“), შესახებ. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსი გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ბიზნესზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. ზოგადი რეკომენდაციების მიხედვით PwC საქართველომ შეზღუდა თანამშრომელთა ერთიან საოფისე სივრცეში მუშაობა და ნაწილობრივ გადავიდა ე.წ. დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. კომპანიის ხელმძღვანელობა განაგრძობს COVID-19-ის შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს რათა მოხდეს კორონავირუსით გამოწვეული სამომავლო ეფექტის პროგნოზირება და თანდართული რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის მიერ მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 ივლისი. გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით, მსს ფასს მოითხოვს აღნიშნული სტანდარტის რეტროსპექტულ გამოყენებას 2020 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის. მსს ფასს გამოყენებული იქნა 2018 წლის 1 ივლისსა მდგომარეობით საწყისი მსს ფასს-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას და ასევე მომდევნო პერიოდებში პირველი სრული მსს ფასს ანგარიშგების მომზადების პერიოდის დასრულებამდე.

2020 წლის 31 მარტს, კომპანიამ გამოუშვა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია, რომელიც შედარებადია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებასთან. აღნიშნულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებასა და მსს ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებს შორის არ აღინიშნება რაიმე სხვაობა 2018 წლის 1 ივლისის და 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების კონვენციის მიხედვით და მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით, რომელიც ეფუძნება რეალურ ღირებულებას. ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

მსს ფასს სტანდარტის პირველად შემოღება. ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში (ანუ 2018 წლის 1 ივლისამდე) არ მოუმზადებია რაიმე ფინანსური ანგარიშგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის შეჯერება, თუ როგორი გავლენა მოახდინა წინა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებიდან მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ საქმიანობასა და ფულადი სახსრების ნაკადებზე, არ არის წარმოდგენილი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

მსს ფასს სტანდარტი მოითხოვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენას მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის და მოიცავს მსს ფასს სტანდარტის რეტროსპექტიული გამოყენებისგან გარკვეულ სავალდებულო და არჩევით გამონაკლისებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები. კომპანიას ასევე არ გამოუყენებია არაპრაქტიკულობასთან დაკავშირებული რაიმე ზოგადი გამონაკლისი მსს ფასს სტანდარტის 35.11 პუნქტის შესაბამისად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა არის აშშ დოლარი, რომელიც განსხვავებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტისგან (ანუ ქართული ლარისგან), სადაც კომპანია ოპერირებს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აშშ დოლარი ყველაზე ადეკვატურად ასახავს კომპანიის ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები, კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ('სებ'-ის) მიერ დადგენილი კურსით. შემოსულობები და ზარალი უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან, აღირიცხება მოცემული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებაში როგორც, 'წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან'.

სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები, რომლითაც მოხდა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების აშშ დოლარში გადაანგარიშება, იყო:

	30 ივნისი 2020	**30 ივნისი 2019**
1 აშშ დოლარი/ლარი	3.0552	2.8687
1 ევრო/ლარი	3.4466	3.2657
1 გირვანქა სტერლინგი/ლარი	3.7671	3.6384

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად გარიგების ფასით აღიარდება. შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მისაღები თანხის მიღებას დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. თუ არსებობს ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

დარიცხული მისაღები შემოსავალი (WIP). WIP წარმოადგენს კონკრეტული სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში მიმდინარე საკონტრაქტო მომსახურებებზე დარიცხულ შემოსავალს, რომელიც გამომუშავებულია კომპანიის მიერ შესაბამისი გარიგების პირობებიდან გამომდინარე. WIP-ის აღიარება ხდება მისი შეფასებული სარეალიზაციო ღირებულებით სამუშაოს შესრულების სტადიის პროპორციულად და მისი დებიტორულ დავალიანებად კლასიფიცირება ხდება კომპანიის მიერ შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის მომენტში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

- საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი 5-10 წელი
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 5 წელი
- კომპიუტერული აღჭურვილობა 3 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების „სხვა საოპერაციო წმინდა მოგებაში“.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია, და, ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით. შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრულია 3-5 წლით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახდელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5-10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთაც 20% ან მეტი აქვთ დღგ-ის გან გათავისუფლებული ბრუნვა.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება, აგრეთვე მოსალოდნელია, რომ კომპანია სამომავლოდ მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის და მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნების და დღგ-ს გარეშე.

ამონაგები პროფესიული მომსახურებიდან. ამონაგები პროფესიული მომსახურებიდან აღიარდება მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. კომპანიის მენეჯმენტი შესრულების სტადიას ადგენს მოცემული თარიღისათვის შესრულებული მომსახურების პროცენტული თანაფარდობის გაანგარიშებით მთელი მომსახურების მიმართ გაწეული და გასაწევი ხარჯების (მაგ. საათების) მიხედვით.

მომუშავეთა გასამრჯელოები. კომპანიის თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება თანამშრომლების მიერ დაკავშირებული მომსახურების გაწევის წელს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის, საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ინფორმაციის გამოსაცემად დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივების მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოზე, სადაც გამოიყენება აქტივი. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები დამოკიდებულია კომპანიის მიერ კონკრეტული მომხმარებლებისგან დავალიანებების ამოღებადობის შეფასებაზე. ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობა თუ გაუარესებულია ან ფაქტობრივი დეფოლტები შეფასებულზე უფრო მეტია, მაშინ ფაქტობრივი დებიტორული დავალიანება შეიძლება განსხვავებული იქნეს შეფასებულისაგან. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორული დავალიანება გაუფასურებულია, მიუხედავად იმისა ეს მნიშვნელოვანია თუ არა, ის ამ დებიტორულ დავალიანებას მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფს მიაკუთვნებს და ამ ჯგუფს კოლექტიურად შეაფასებს გაუფასურებაზე. გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასების მიზნებისათვის ფინანსურ აქტივებს აჯგუფებენ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მახასიათებლები შესაფერისია მსგავსი აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისათვის, რადგან ისინი გვიჩვენებენ მოვალის უნარს, განახორციელოს შესაფასებელი აქტივების სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული ყველა გადახდა.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც შეფასებულია, რომ ინდივიდუალურად გაუფასურებული არ არის, კოლექტიურად შეფასდება მსგავსი ხანდაზმულობის დებიტორული

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

დავალიანებების ამოღების კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისათვის ანარიცხები იქმნება კონკრეტული ხანდაზმულობის კატეგორიაში თანხების ამოღების წარსული გამოცდილების საფუძველზე. გაუფასურების ანარიცხის ოდენობა სენსიტიურია გამოყენებული კონკრეტული პროცენტებისადმი. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება შეფასებულისაგან განსხვავდებოდეს, ასევე შესაძლებელია კომპანიის შეფასებების მომავალში შეცვლა, უარყოფითად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია საბოლოო შედეგზე ან მოლოდინზე, რისკთან დაკავშირებული ფაქტების გათვალისწინებით.

5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარე
სავაჭრო მოთხოვნა	85	61
სავაჭრო ვალდებულება	191	14

2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარე
სავაჭრო მოთხოვნა	48	170
გადახდილი ავანსები	-	18
სავაჭრო ვალდებულება	6	16

2020 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის შემოსავლისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან:

ათასი აშშ დოლარი	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარე
ამონაგები პროფესიული მომსახურებიდან	-	78	370
პროფესიული მომსახურების ხარჯები	18	754	166
ტექნოლოგიების და კომუნიკაციის ხარჯი	-	61	215
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	9	-

5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2019 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის შემოსავლისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან:

ათასი აშშ დოლარი	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარე
ამონაგები პროფესიული მომსახურებიდან	-	59	1,146
პროფესიული მომსახურების ხარჯები	4	717	170
ტექნოლოგიების და კომუნიკაციის ხარჯი	-	40	203
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	11	-

მენეჯმენტის ანაზღაურება. მენეჯმენტის (კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელი პირები, მომსახურების მიმართულებების ხელმძღვანელი პირები და ფინანსური დირექტორი) ანაზღაურებამ, რომელიც მოიცავს ხელფასს, ბონუსს და სხვა მოკლევადიან სარგებელს, 2020 წლის 30 ივნისის დასრულებული წლისათვის შეადგინა 792 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2019 წლის 30 ივნისის დასრულებული წლისათვის შეადგინა 710 ათასი აშშ დოლარი

6 ძირითადი საშუალებები

ათასი აშშ დოლარი	ოფისის ავეჯი და აღჭურვილობა	კომპიუტერული აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება	373	210	63	646
დაგროვილი ცვეთა	(92)	(95)	(8)	(195)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 ივლისს	**281**	**115**	**55**	**451**
შეძენა	33	80	-	113
ცვეთის ხარჯი	(47)	(71)	(13)	(131)
თვითღირებულება	406	290	63	759
დაგროვილი ცვეთა	(139)	(166)	(21)	(326)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 30 ივნისს	**267**	**124**	**42**	**433**
შეძენა	9	9	2	20
ცვეთის ხარჯი	(48)	(79)	(13)	(140)
თვითღირებულება	415	299	65	779
დაგროვილი ცვეთა	(187)	(245)	(34)	(466)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 30 ივნისს	**228**	**54**	**31**	**313**

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი აშშ დოლარი	30 ივნისი 2020	30 ივნისი 2019	1 ივლისი 2018
სავაჭრო მოთხოვნა	731	773	758
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი	(87)	(24)	(16)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	**644**	**749**	**742**
დარიცხული მისაღები შემოსავალი (WIP)	844	1,051	806
გადახდილი ავანსები	50	70	69
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,538**	**1,870**	**1,617**

სავაჭრო მოთხოვნის ნაშთები საკრედიტო ხარისხის მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ათასი აშშ დოლარი	30 ივნისი 2020	30 ივნისი 2019	1 ივლისი 2018
ბალანსები რომელიც არ არის ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	644	749	742
ვადაგადაცილებული და ინდივიდუალურად გაუფასურებული ბალანსები	87	24	16
ბალანსები შემცირებული საეჭვო მოთხოვნების ანარიცხით	(87)	(24)	(16)
სულ	**644**	**749**	**742**

8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი აშშ დოლარი	30 ივნისი 2020	30 ივნისი 2019	1 ივლისი 2018
ფულადი სახსრები სალაროში	-	2	2
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	2,427	1,446	1,017
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**2,427**	**1,448**	**1,019**

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი აშშ დოლარი	30 ივნისი 2020	30 ივნისი 2019	1 ივლისი 2018
თანამშრომელთა სარგებლის დაგროვილი ხარჯი	493	498	429
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	292	133	647
საგადასახადო ვალდებულებები	93	44	20
სულ ფინანსური ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ამორტიზებული ღირებულებით	**878**	**675**	**1,096**
მიღებული ავანსები	22	142	12
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**900**	**817**	**1,108**

10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 100 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, რაც სრულიად შეტანილია შპს "ფრაისუოთერჰაუსკუპერს ოდითინგი"-ს მიერ.

11 სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი აშშ დოლარი	**2020**	**2019**
ტექნოლოგიების და კომუნიკაციის ხარჯი	326	290
იჯარა	186	212
მივლინების და ტრანსპორტირების ხარჯი	121	148
საოფისე ხარჯი	95	187
პროფესიული გადამზადების ხარჯი	64	100
მარკეტინგის ხარჯი	40	60
პროფესიული დაზღვევის ხარჯი	26	24
სხვა	87	70
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	**945**	**1,091**

მმართველობითი ანგარიშგება

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო

2020 წლის **30** ივნისით დასრულებული წლისათვის

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები. PwC წარმოადგენს საერთაშორისო აუდიტორულ, საგადასახადო და საკონსულტაციო მომსახურების სფეროში მოღვაწე პროფესიული ფირმების ერთ-ერთ წამყვან ქსელს მსოფლიოში. PwC გლობალურად წარმოდგენილია თავისი ოფისებით მსოფლიოს 155 ქვეყანაში და მასში დასაქმებულია 284,000 ადამიანზე მეტი. PwC კლიენტთა პორტფელში შედის როგორც მსოფლიოს წამყვანი ტრანსნაციონალური კომპანიები, ასევე ახალი და მზარდი საწარმოები, მსხვილი საოჯახო ბიზნესები, საჯარო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო პირები.

საქართველოში PwC კლიენტებს ემსახურება 1996 წლიდან, ხოლო წარმომადგენლობითი ოფისი თბილისში გაიხსნა 2005 წლის სექტემბერში. PwC საქართველო მომსახურებას უწევს ბიზნეს ორგანიზაციებს, საჯარო სექტორს და კერძო ბიზნეს ორგანიზაციებს და უზიარებს მათ PwC-ის გლობალურ ქსელში დაგროვილ 150-წლიან გამოცდილებას და ცოდნას.
ძირითადი მიმართულებების - აუდიტი და საგადასახადო მომსახურებების გარდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში PwC სქართველომ კლიენტთა მოთხოვნებს უპასუხა და გააფართოვა მომსახურებების სფერო იურიდიული კონსულტაციების, ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურებისა და ტრენინგების აკადემიის მიმართულებებით. PwC საქართველოს პროფესიონალთა უმრავლესობა სწავლებას გადის ბუღალტერთა საერთაშორისო ასოციაციაში (ACCA) და ამ კვალიფიკაციის მქონე წევრები ხელს უწყობენ საქართველოში ბიზნესის განვითარებას.
ფირმის წარმატებული არსებობა რეგიონში და მისი საქართველოს ბაზარზე დაწინაურებული მდგომარეობა განაპირობა ბიზნეს ხედვამ და რეგიონისადმი ერთგულებამ. PwC საქართველო განაგრძობს მის საქმიანობას და თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის შემდგომი განვითარების პროცესებში.
კომპანიის საოპერაციო საქმიანობას წარმართავენ ადგილობრივი პარტნიორები და მისი გუნდი 100-ზე მეტი პროფესიონალისგან შედგება.

თანამშრომლების გამოცდილება და კვალიფიკაცია. PwC საქართველოს მენეჯმენტი გუნდის მიზანია გაძლიერდეს რეგიონში და იყოს წარმატებული, უზრუნველყოს საკუთარი კლიენტებისათვის როგორც ინდუსტრიაზე მორგებული მომსახურებები, ასევე მყისიერი ხელმისაწვდომობა ინდუსტრიის საუკეთესო ექსპერტებთან. ჩვენი, როგორც საუკეთესო დამსაქმებლის სტატუსის მქონე ფირმისთვის საქართველოში და გლობალურადაც, მარტივია მოვიზიდოთ საუკეთესო კადრები, უზრუნველვყოფთ მათი პროფესიონალ, ლიცენზირებულ აუდიტორებად ჩამოყალიბება.

PwC საქართველოში ACCA-ის 11 წევრია, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ ლიცენზირებული აუდიტორი კი 10, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებულია PwC საქართველოს 7 აუდიტორი, და გარიგების პარტნიორებად რეგისტრირებულია ფირმის 3 თანამშრომელი.
ჩვენი თანამშრომლები ვითარდებიან რეალური და მიღწევადი მიზნების დასახვის გზით. მენეჯერები მუდმივად ზრუნავენ ახალი თანამშრომლების ზრდასა და განვითარებაზე. დროის ეს ინვესტიცია, ნამდვილდ ამართლებს, დამადასტურებელი ამისა კი არის ჩვენი კლიენტების მიერ გაცემული შეფასებები.
სწორედ PwC -ის გლობალური ხედვა უზრუნველყოფს იმას, რომ ჩვენი კლიენტები წარმატებით უმკლავდებიან რთულ ბიზნეს გამოწვევებს და მათი დამსახურებაა, რომ ჩვენი ინდუსტრიული გამოცდილება მუდმივად ვითარდება და თითოეულ ბიზნეს სფეროში საუკეთესო ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი კადრები გვყავს წარმოდგენილი.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. PwC საქართველო, როგორც პასუხისმგებლიანი ბიზნესი, სრულად ითვალისწინებს ფირმის გლობალურ მიდგომას და ჩვენი სოციალურ პასუხისმგებლობის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია

- ბიზნეს სექტორის განვითარება
- საზოგადოებრივი საქმიანობა
- თანამშრომლებზე ზრუნვა
- გარემოზე ზრუნვა

ჩვენი პრინციპები და პრიორიტეტებია მომსახურების მაღალი ხარისხი, პროფესიული გამოცდილების გაზიარება, ბიზნესის ეთიკურად წარმოება და საქმიანობის გამჭვირვალება, ადამიანის უფლებების დაცვა, სოციალური პრობლემების მოგვარებაში მონაწილეობა და შრომითი სტანდარტების დაცვა.

PwC საქართველოს მიზანია საზოგადოებაში ურთიერთნდობის გაღრმავება და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში დახმარება. რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მიზნად ვისახავთ არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის წარმოებას საქართველოში, არამედ ჩვენი კლიენტების მხარდაჭერას, გახდნენ უფრო წარმატებულები ადგილობრივ ბაზარზე და გლობალურად კონკურენტუნარიანები.

PwC საქართველოს ღირებულებებია:

- კეთილსინდისიერი მოქმედება
- მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა
- ზრუნვა
- თანამშრომლობა / გუნდური მუშაობა
- შესაძლებლობის ხელახლა გააზრება

ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის ბიზნეს სექტორის განვითარების ნაწილში დანერგილი გვაქვს რამდენიმე პროგრამა, რასაც 2005 წლიდან ვახორციელებთ:

- უწყვეტი დიალოგი კლიენტებთან - პროგრამა PwC-ის მომსახურების ხარისხის შეფასება
- ურთიერთთანამშრომლობა, ადგილობრივი და გლობალური გამოცდილების გაზიარება - მარეგულირებელ ორგანოებთან, პროფესიული ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო სავაჭრო პალატებთან და ბიზნეს ასოციაციებთან
- საგანმანათლებლო საქმიანობა - რაც მოიცავს უსასყიდლოდ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო და საინტერესო ვებინარების, პრეზენტაციების, სხვადასხვა სასწავლო სემინარების ჩატარებას.

საზოგადოებრივი საქმიანობის მიმართულებით ჩვენი სოციალური პროგრამები სამ მიმართულებას მოიცავს:

- Pro Bono პროფესიული მომსახურება
- ფინანსური დახმარება
- მოხალისეთა საქმიანობა

პროფესიული მომსახურება - Pro Bono ფარგლებში PwC საქართველოს მიერ უწყვეტად ხორციელდება უსასყიდლო პროფესიული მომსახურების მხარდაჭერის პროგრამები, არასამთავრობო ორგანიზაციების და მცირე ბიზნესისათვის.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (გაგრძელება)

ფინანსური დახმარების ნაწილში საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა არის ჩვენი პრიორიტეტი და ვთანამშრომლობთ:

- RDS – სასტიპენდიო ფონდთან, ქუთაისის უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტი PwC-ს სტიპენდიანტი 2 წლის განმავლობაში
- PwC საქართველოს მიერ აგრარული უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტის დაფინანსების განხორციელება
- ვთანამშრომლობთ „საქართველოს ამერიკული მეგობრები“ სოციალური ფონდთან და ყოველწლიურად ფინანსურად მხარს ვუჭერთ მის საქმიანობას
- ასევე ვთანამშრომლობთ ძეგვის თავშესაფრის მოზარდთა სწავლის დაფინანსებაში
- ვაფინანსებთ თანამშრომლების მონაწილეობას სპორტული აქტივობებსა ღონისძიებებში (Wings of Life World Run)

მოხალისეთა საქმიანობის მიმართულებით აღსანიშნავია PwC საქართველოს მიერ შექმნილი ფონდი „თანადგომა“, რომელთა თანამშრომელთა ხელფასებიდან მიღებული შემოწირულობებით ფინანსდება. ფონდის პრიორიტეტული მიმართულებებია 0-18 წლამდე ბავშვების გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და განათლება. ფონდს და PwC საქართველოს უამრავი ერთობლივი პროექტები აქვს განხორციელებული და კვლავაც ვაგრძელებთ ამ მიმართულებით საქმიანობას.

„საშობაო საჩუქრები ბავშვებს“ არის კიდევ მორიგო პროექტი, რომელიც მრავალი წელია ხორციელდება ჩვენს მიერ და გამოირჩევა თანამშრომელთა მაქსიმალური ჩართულობით და მოიაზრებს სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების საახალწლოდ დასაჩუქრებას. PwC საქართველოს მხარდაჭერით წელს რამდენიმე ოჯახს გადავეცით კომპიუტერები და 2021 წელს 40 სოციალურად დაუცველი ბავშვი გახარებული შეხვდა ახალ წელს.

თანამშრომლებზე ზრუნვის მიმართულებით დანერგილი გვაქვს:

- ახალი თანამშრომლების ინტეგრირების პროგრამები
- დაგეგმილი კარიერული განვითარება
- პროფესიული მომზადების პროგრამები თანამშრომლებისათვის: აუდიტორთა აკადემია, უნივერსიტეტი კონსულტანტებისთვის, საგადასახადო აკადემია, ყოველწლიური სავალდებულო ტრენინგები საქართველოში და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში
- სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) საერთაშორისო სწავლების და წევრობის სრული დაფინანსება. PwC საქართველოს ამჟამად ჰყავს ACCA-ის 11 წევრი და 47 მოქმედი სტუდენტი
- ბოლო ორი წელია გლობალური ინიციატივის ფარგლებში დავიწყეთ თანამშრომელთა ციფრული აღზრდის (Digital Upskilling) პროგრამა და დღესაც აქტიურად მიმდინარეობს სწავლების პროცესი
- თანამშრომელთა გლობალური გამოკითხვა (Global People Survey) და დამატებით ადგილობრივი გამოკითხვა, რაც მოიაზრებს თითოეულ თანამშრომელთან პირისპირ გასაუბრებას წინასწარ შემუშავებული კითხვარით, მენეჯმენტის სრულ ჩართულობას ანალიზის პროცესში, ქმედითი გეგმის დასახვას, გაცნობას თანამშრომლებისათვის და მის ეტაპობრივ დანერგვა-აღსრულებას
- ჯანმრთელობის დაზღვევა

გარემოზე ზრუნვის მიმართულებით პროპაგანდას ვიწევთ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებას. ჩვენთვის პრიორიტეტულია ქაღალდის მოხმარების შემცირება და არსებული ტექნოლოგიების გარემოზე ზემოქმედების სასიკეთოდ გამოყენება,

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (გაგრძელება)

ამიტომაც ბოლო წლებია დავნერგეთ და ვახორციელებთ:

- ჭკვიანი ბეჭდვა
- ელექტრონული სასწავლო მასალები
- დოკუმენტებზე მუშაობის ონლაინ რეჟიმი
- მაკულატურის შეგროვების ტრადიციის აღდგენა

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ. კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

ინფორმაცია კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.
კომპანიის მიერ ადგილი არ ქონია საკუთარი აქციების შეძენას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები. 2020 წელს შეინიშნება შემოსავლების კლება 10%-ით წინა ფინანსურ წელთან შედარებით, რაც გამოწვეულია პანდემიის გამო ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობით. უმეტესად შემცირდა საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

	2020*	**2019***
შემოსავალი (ათასი დოლარი)	6,122	6,786
წმინდა მოგება (ათასი დოლარი)	443	954
თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა	109	106

(*) 2020 ფინანსური წელი: 2019 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
2019 ფინანსური წელი: 2018 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია COVID 19-სთან დაკავშირებული პანდემიით გამოწვეული ეკონომიკის განვითარების შეფერხება. კომპანიას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რათა შეამციროს პანდემიით დაზარალებული ბიზნესების ფუნქციონირების შეფერხების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ინდივიდუალურად უდგება ყველა კლიენტს და სთავაზობს მაქსიმალურად მოქნილ ბიზნეს-ურთიერთობის გეგმას.

არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მომსახურების მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს განვითარებას, აფასებს და ითვალისწინებს პოლიტიკურ ვითარებას და პროგნოზებს.

მომსახურების (განსაკუთრებით აუდიტორულ მომსახურებასთან) გაწევასთან დაკავშირებული ხარისხის და რეპუტაციის დაზიანების რისკი. კომპანია ზრუნავს მომსახურების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე. კომპანიაში დანერგილია PwC-ის მომსახურების ხარისხის შეფასების პროგრამა, რომლის მიზანია მთელს მსოფლიოში უზრუნველვყოთ თანაბრად მაღალი ხარისხის აუდიტის მომსახურების გაწევა, მისი მუდმივი დახვეწა და გაუმჯობესება. კომპანიაში პერიოდულად ხორციელდება ხარისხის სავალდებულო შემოწმება როგორც შიდა PwC აუდიტის კონტროლის მონიტორინგის სამსახურის მიერ, ასევე ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან.

ლაშა ჯანელიძე
გენერალური დირექტორი

თამარ გრიგორიევი
ფინანსური დირექტორი